


ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის

პრიორიტეტების დოკუმენტი

2027-2030 წლებისათვის

რუსთავი

2026

თავი I

ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

რუსთავის ტერიტორიის ათვისება შუა ბრინჯაოს ხანაში, ძველი წელთარღიცხვით II ათასწლეულის I ნახევარში დაიწყო. ამ პერიოდში რუსთავში მდინარე მტკვრის მარჯვენა მდინარისპირა პლატოზე, ტომთა ერთ-ერთი გაერთიანების კუთვნილი პირველი სამაროვანი გაჩნდა. ამ სამაროვნიდან მხოლოდ ერთი ნივთი არსებობს – წითლად გამომწვარი და შავად მოხატული ქოთანი, რომელიც ძველი წელთაღირცხვის XVIII-XVII საუკუნეებით თარიღდება. მარცხენა ნაპირზე ამ პერიოდის კულტურული ფენები ჯერ-ჯერობით არ აღმოჩენილა.

გვიან ბრინჯაოს ხანაში – ძველი წელთაღრიცხვით II ათასწლეულის II ნახევრიდან, როცა სამხრეთ კავკასიაში რკინის მოპოვება – დამუშავება და ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის თანამდევი პროცესები დაიწყო, ეს ტერიტორიები უფრო ინტენსიურად აითვისეს. ახალი დასახლებები გაჩნდა მტკვრის ორივე ნაპირზე, სადაც წყლის სიახლოვე, ნოყიერი ნიადაგი, თავდაცვისათვის ბუნებრივად შემოზღუდული გარემო და რბილი კლიმატი ხელსაყრელ საარსებო პირობებს ქმნიდა. ნასახლარები აღმოჩენილია “რუსთავის ციხის” გორაზე, მის მოპირდაპირედ, მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ჩათმის მთაზე და სხვა. ამ პერიოდის ცალკეული სამარხებისა თუ სამაროვანთა გეოგრაფიაც საკმაოდ ფართოა. ამ პერიოდში მოსახლეობა მისდევდა მესაქონლეობასა და სარწყავ მიწათმოქმედებას, განვითარებული იყო ხელოსნობის დარგები: მეთუნეობა, ლითონის, ტყავის, ხის დამუშავება და სხვა.

XI საუკუნის მემატიანის, ლეონტი მროველის მიხედვით, რუსთავი ქართველთა ეთნარქის, ქართლოსის ცოლმა ააშენა, შემდგომ კი შვილს – კუხოსს გადასცა, რომელმაც, ლეონტის აზრით, სათავე დაუდო ამ ტერიტორიაზე არსებულ ერთ-ერთ ქართული ტომს –კუხებს. მისი მეორე ცნობის თანახმად, ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობისას, ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში , დიდ მცხეთასთან, ურბნისთან, უფლისციხესთან, სარკინესთან, კასპთან და სხვა ქალაქებთან ერთად უკვე რუსთავიც არსებულა. ამ მოსაზრების დასადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ იაღლუჯის მთასა და ცურტაველის ქუჩაზე აღმოჩენილი ძველი წელთაღიცხვით V-II საუკუნეების ნამოსახლარები და სამაროვნები, რომლებიც ერთმანეთისაგან საკმაოდაა დაცილებული, მაგრამ შესაძლოა ანტიკურ ეპოქაში რუსთავი, მცხეთის მსგავსად, სწორედ ცალკეულ, ურთიერთდაცილებულ უბნებად იყო გაშენებული.

XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსთავის შესახებ ცნობები თითქმის არ არსებობს. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე რუსთავში ერეკლე პირველმა საზამთრო რეზიდენცია მოიწყო. ვახტანგ VI-ს, რომელმაც გამაჰმადიანებულ ერეკლეს, იგივე ნაზარ-ალი ხანს ეს სასახლე დაუნგრია, კარგად ესმოდა რუსთავისა და ყარაიას ველის სამეურნეო – ეკონომიკური მნიშვნელობა. ამიტომ მან აღადგინა რუსთავის არხი, მაგრამ ქალაქის აღდგენა ვეღარ შეძლო. მიუხედავად ამისა, მცირერიცხოვანი მოსახლეობა რუსთავში მაინც დარჩა.



რუსთავის მშენებლობას საფუძველი საბჭოთა ეპოქაში, 1944 წელს, ამიერკავკასიაში უდიდესი მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის პარალელურად ჩაეყარა. ახალმა სამრეწველო დაბამ რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის სტატუსი 1948 წელს მიიღო. ამავე წელს სახელები მიენიჭა ქალაქის პირველ ქუჩებს, ეს იყო: “ახალგაზრდა კომუნარების”, “რუსთავის მშენებელთა” და ”ბოსტან-ქალაქის” ქუჩები.

თანდათან განვითარდა საქალაქო ინფრასტრუქტურა, შეიქმნა სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ფართო ქსელი. კიდევ ერთხელ განახლდა რუსთავის არხი. მოსახლეობა ადგილობრივი და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებიდან ჩამოყვანილი კადრების ხარჯზე იზრდებოდა. 1944 წელს გაიხსნა პირველი სკოლა, 1950 წელს გამოადნეს პირველი ქართული ფოლადი, 1954-ში - თუჯი და კოქსი, 1956 წელს კი ამიაკი.

1950 წელს გაიხსნა რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, 1967 წელს – პირველი თეატრი. რუსთავი მსხვილ ინდუსტრიულ ცენტრად იქცა. 1988 წელს ქალაქში 35 მსხვილი საწარმო ფუნქციონირებდა. მათ შორის: მეტალურგიული კომბინატი, "აზოტის", "ქიმბოჭკოს"," ცემენტის", "ლითონკონსტრუქციის" და "ამწემშენებელი" ქარხნები.

ფართობი და მდებარეობა

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი ქვემო ქართლის რეგიონული ცენტრია, ქვეყნის მასშტაბით 5 თვითმმართველი ქალაქიდან ერთ-ერთი; მისი ფართობი 73.6 კმ^2 არის, რაც რეგიონის საერთო ტერიტორიის 1%-ია, ხოლო ქვეყნის ფართობის 0.1% უჭირავს.



რუსთავი ქვემო ქართლის რეგიონისა და თბილისის აგლომერაციაში მყოფი ქალაქებიდან უდიდესია და რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრს წარმოადგენს. ის მდებარეობს ქვემო ქართლის ვაკეზე 41,5^0 განედსა და 41,5^0 გრძედზე, საქართველოს დედაქალაქიდან სამხერთ–აღმოსავლეთის მიმართულებით, ზღვის დონიდან დაახლოებით 350 მეტრზე. დასავლეთიდან რუსთავს ესაზღვრება იალღუჯისა და ჩათმის მთები, ხოლო აღმოსავლეთით - გარდაბნისა და ფონიჭალის ველები. ქალაქს მარცხენა და მარჯვენა სანაპიროდ ჰყოფს მდინარე მტკვარი. ქალაქის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს ე.წ. „ძველი რუსთავის" დასახლება, ხოლო მარჯვენაზე – ე.წ. „ახალი რუსთავი". სანაპიროები ერთმანეთს უკავშირდება 1 კილომეტრი სიგრძის ხიდით. რუსთავს ესაზღვრება გარდაბნისა და მარნეულის მუნიციპალიტეტები.

ქალაქი ასევე, გამოირჩევა სტრატეგიული მდებარეობით. ის დედაქალაქის ცენტრიდან დაშორებულია 27 კილომეტრით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან 20 კილომეტრით, სომხეთის რესპუბლიკის საზღვრიდან – 45 კილომეტრით, ხოლო აზერბაიჯანის საზღვრიდან – 30 კილომეტრით. თბილისისა და რუსთავის საზღვრებს შორის უმოკლესი მანძილი 7,66 კილომეტრია. რუსთავის მახლობლად გადის რეგიონული საკომუნიკაციო დერეფანი –TRACECA.

მმართველობის ორგანოები

რუსთავი წარმოადგენს თვითმმართველ ქალაქს და მინიჭებული აქვს სახელწოდება – ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი. რუსთავის ხელისუფლებას წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლება – მერია საყოველთაო კენჭისყრის შედეგად არჩეული მერის ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულოს ოცდახუთი წევრის შემადგენლობით. მუნიციპალიტეტის უმაღლეს თანამდებობის პირს წარმოადგენს მერი, ხოლო საკრებულოს ხელმძღვანელობს საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით არჩეული თავმჯდომარე. ქალაქი დაყოფილია 10 ადმინისტრაციულ სამაჟორიტარო ტერიტორიულ ერთეულად. თითეული ერთეულიდან არჩეულია საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი, რომელიც წარმოადგენს მოსახლეობის ინტერესებს ხელისუფლებაში, ასევე დანიშნულია მერის წარმომადგენლები, რომელსაც აკისრიათ ლოკალურ დონეზე, ადგილობრივ ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის მედიატორის ფუნქცია.

მოსახლეობა

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი 130.2 ათას მოსახლეს ითვლის, რაც რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის 29.6%-ია, ხოლო ქვეყნის მოსახლეობის - 3.3%. სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელთა რაოდენობა - 6,3 ათასია, მათ შორის: 3,0 ათასი გოგო და 3,3 ათასი ბიჭი, მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით ქალაქში 1 კვ.კმ-ზე 1,8 ათასი მოსახლე მოდის.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განვითარების ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტს, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ, ანუ მასში გათვალისწინებულია ძირითადი პრიორიტეტები და მიმართულებები გასული, მიმდინარე, დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი სამი წლისათვის.

2027 წლისთვის, ისევე როგორც 2025-2026 წლებში შემუშავდა 2027–2030 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. პრიორიტეტული მიმართულებები შემდეგია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება.
- განათლება.
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი.
- დასუფთავება და გარემოს დაცვა.
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

სწორედ ამ პრიორიტეტების გათვალისწინებით მოხდა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დაგეგმვა, რომელიც ასახავს მუნიციპალიტეტის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს და საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში იმ პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, რომელიც ყველაზე აქტუალურია საზოგადოებისათვის.

თავი II

ნაწილი I

შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებლები

2027-2030 წლების შემოსულობების პროგნოზი

საპროგნოზო გათვლებით 2027-2030 წლებში ბიუჯეტში მობილიზებული თანხების მოცულობას ზრდის ტენდენცია ექნება. 2027 წლისათვის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 191 618,2 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრება. აქედან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები 185 918,2 ათასი ლარი იქნება, მათ შორის: გადასახადების წილი 91 394,0 ათას ლარს გაუტოლდება (ქონების გადასახადი 20 000,0 ათასი ლარი იქნება, ხოლო დამატებითი ღირებულების გადასახადი 71 394,0 ათასი ლარი), გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი 76 804,2 ათასი ლარი იქნება, ხოლო სხვა შემოსავლების წილი 17 720,0 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივებიდან მისაღები თანხების მოცულობა 5 700,0 ათასი ლარია ნავარაუდევი.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების მოცულობები 2025-2030 წლებში

ათასი ლარი

N	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
1	ინფრასტრუქტურის განვითარება	79 448,4	90 315,5	83 087,9	79 062,0	79 495,0	87 962,0
2	განათლება	21 835,1	25 020,2	26 134,7	26 134,7	26 134,7	26 134,7
3	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.	14 423,0	12 971,9	14 257,7	14 257,3	14 257,3	14 257,3
4	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი.	23 845,1	28 315,1	24 787,6	28 787,6	28 454,6	20 787,6
5	დასუფთავება და გარემოს დაცვა.	15 468,7	16 310,9	18 054,6	18 054,6	18 054,6	18 054,6
6	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.	17 731,5	21 389,8	26 195,7	25 856,3	25 605,9	22 239,7

ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები 2025-2030 წლებში

ათასი ლარი

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
შემოსავლები	**157 223,3**	**159 737,1**	**185 918,2**	**186 652,5**	**187 502,1**	**185 935,9**
გადასახადები	81 421,1	83 642,8	91 394,0	96 702,5	103 222,2	110 296,1
გრანტები	62 732,4	57 294,3	76 804,2	72 004,2	66 304,2	57 804,2
სხვა შემოსავლები	13 069,8	18 800,0	17 720,0	17 945,8	17 975,7	17 835,6
ხარჯები	**120 116,8**	**151 609,4**	**150 505,3**	**149 752,1**	**150 829,7**	**155 227,9**
შრომის ანაზღაურება	35 412,3	39 436,2	47 724,5	47 724,5	47 724,5	47 724,5
საქონელი და მომსახურება	33 537,7	38 550,7	41 359,9	41 361,6	41 361,6	41 361,6
პროცენტი	1 266,8	1 269,6	2 543,7	2 104,3	1 653,9	1 152,1
სუბსიდიები	12 174,4	18 203,7	20 442,6	20 442,6	20 442,6	20 442,6
გრანტები	3,9	6,0	6,0	6,0	6,0	6,0
სოციალური უზრუნველყოფა	9 900,2	9 414,5	10 230,0	10 230,0	10 230,0	10 230,0
სხვა ხარჯები	27 821,3	44 728,7	28 198,6	27 883,1	29 411,1	34 311,1
საოპერაციო სალდო	**37 106,5**	**8 127,7**	**35 412,9**	**36 900,4**	**36 672,4**	**30 708,0**

დასახელება	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**36 814,1**	**19 694,4**	**31 448,5**	**31 936,0**	**31 508,0**	**28 408,0**
ზრდა	49 460,5	39 594,4	37 148,5	37 436,0	36 008,0	31 908,0
კლება	12 646,4	19 900,0	5 700,0	5 500,0	4 500,0	3 500,0
მთლიანი სალდო	**292,4**	**-11 566,8**	**3 964,4**	**4 964,4**	**5 164,4**	**2 300,0**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**11 013,6**	**-14 686,3**	**-900,0**	**0,0**	**0,0**	**0,0**
ზრდა	12 783,6	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	12 783,6	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	1 770,1	14 686,3	900,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	1 770,1	14 686,3	900,0	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ცვლილება	**10 721,2**	**-3 119,5**	**-4 864,4**	**-4 964,4**	**-5 164,4**	**-2 300,0**
ზრდა	13 895,6	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	13 895,6	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	3 174,5	3 119,5	4 864,4	4 964,4	5 164,4	2 300,0
საშინაო	3 174,5	3 119,5	4 864,4	4 964,4	5 164,4	2 300,0
ბალანსი	**0,0**	**0,0**	**0,0**	**0,0**	**0,0**	**0,0**

ნაწილი II

გასული და მიმდინარე წლის ბიუჯეტების შესრულება

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

2025 წლის ბიუჯეტში შემოსავლების სახით მობილიზებულია 157 223,3 ათ. ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის (156 871,2 ათ. ლარი) 100,2 პროცენტია.

საგადასახადო შემოსავლები

გადასახადების სახით მობილიზებულია 81 421,1 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (81 318,5 ათ. ლარი) 100,1 პროცენტია, მათ შორის:

- საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის სახით მობილიზებულია 14 568,0 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (14 510,0 ათ. ლარი) 100,4 პროცენტს შეადგენს.
- უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის სახით მობილიზებულია 16,2 ათ. ლარი რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (16,0 ათ. ლარი) 101,1 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის სახით მობილიზებულია 1 095,6 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 080,0 ათ. ლარი) 101,4 პროცენტს შეადგენს.

- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის სახით მობილიზებულია 21,8 ათ. ლარი რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (20,0 ათ. ლარი) 109,0 პროცენტს შეადგენს.
- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის სახით მობილიზებულია 5 177,3 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (5 119,0 ათ. ლარი) 101,1 პროცენტია.

გრანტები

- დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ტრანსფერის სახით მობილიზებულია 338,2 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (338,2 ათ. ლარი) 100 პროცენტია.
- დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით (პერსონალური ასისტენტის სერვისის მომსახურება) ტრანსფერის სახით მობილიზებულია 157,5 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (157,7 ათ. ლარი) 99,9 პროცენტია.
- დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით (საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება) ტრანსფერის სახით მობილიზებულია 814,7 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (927,2 ათ. ლარი) 87,9 პროცენტია.
- დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით (საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის) ტრანსფერის სახით მობილიზებულია 898,9 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (898,9 ათ. ლარი) 100 პროცენტია.
- საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მობილიზებულია 55 623,0 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (55 623,0 ათ. ლარი) 100 პროცენტია (საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის N1955, 2025 წლის 11 მარტის N452, 2025 წლის 2 ივლისის N1059 და 2025 წლის 30 ივლისის N1207 განკარგულებები).
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ "რუსთავის ჭალის ტყის პროექტის" განსახორციელებლად ტრანსფერის სახით მობილიზებულია 900,0 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (900,0 ათ. ლარი) 100 პროცენტია (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2025 წლის 24 აპრილის N2-190 ბრძანება).

სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 13 069,8 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (12 707,6 ათ. ლარი) 102,9 პროცენტია (იხ. ცხრილი).

დასახელება	გეგმა	ფაქტი	%
სხვა შემოსავლები	**12 707,6**	**13 069,8**	**102,9**
შემოსავლები საკუთრებიდან	**695,0**	**734,9**	**105,7**
პროცენტები	**230,0**	**253,9**	**110,4**
რენტა	**465,0**	**481,0**	**103,4**
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	160,0	166,7	104,2
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	305,0	314,3	103,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**4 567,2**	**4 626,9**	**101,3**

დასახელება	გეგმა	ფაქტი	%
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	**4 480,0**	**4 539,0**	**101,3**
სანებართვო მოსაკრებელი	812,0	871,8	107,4
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	830,0	825,2	99,4
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	2 838,0	2 842,0	100,1
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	**87,2**	**87,9**	**100,8**
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	87,2	87,9	100,8
ჯარიმები, სანქციები და საურავები	**5 992,6**	**6 227,1**	**103,9**
ტრანსფერი რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	**1 452,8**	**1 480,8**	**101,9**

არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 12 646,4 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (12 641,9 ათ. ლარი) 100 პროცენტია, მათ შორის:

- ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მობილიზებულია 3 591,0 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3 586,5 ათ. ლარი) 100,1 პროცენტია.
- არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან მობილიზებულია 9 055,4 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (9 055,4 ათ. ლარი) 100 პროცენტია.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებები

2025 წლის განმავლობაში მუნიციპალური განვითარების ფონდის წინაშე აღებული ვალდებულების ფარგლებში დაფინანსდა 3 174,5 ათ. ლარი და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გასასტუმრებელი ვალის ნაშთი 2026 წლის დასაწყისისთვის განისაზღვრება 12 312,5 ათასი ლარით.

N	დასახელება	ვალის ოდენობა
1	საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტით ქონების (კომპაქტორიანი თვითმცლელი ნაგავმზიდები და ნარჩენების კონტეინერები) გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში	55,0
2	საქართველოს ურბანული ტრანსპორტის გაუმჯობესების პროგრამით 40 ერთეული ავტობუსის შეძენა	12 257,5
სულ:		**12 312,5**

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2025 წლის გეგმა			2025 წლის ფაქტი		
	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი
ფინანსური აქტივების ცვლილება	**-3 789,3**	**-3 313,3**	**-476,0**	**11 013,6**	**-1 294,4**	**12 307,9**
ზრდა	0,0	0,0	0,0	12 783,6	0,0	12 783,6
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	0,0	0,0	12 783,6	0,0	12 783,6
კლება	3 789,3	3 313,3	476,0	1 770,1	1 294,4	475,7
ვალუტა და დეპოზიტები	3 789,3	3 313,3	476,0	1 770,1	1 294,4	475,7

ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2025 წლის ხარჯვითი ნაწილის გეგმამ შეადგინა 187 198,1 ათ. ლარი, მთლიანმა საკასო ხარჯმა - 172 751,8 ათ. ლარი, გეგმის 92,2%. კონკრეტული მუხლების მიხედვით: შრომის ანაზღაურება დაფინანსდა გეგმის - 99,9%–ით, საქონელი და მომსახურება - 96,9%-ით, სასესხო ვალდებულებების პროცენტი - 100%-ით, სუბსიდია - 99,7%–ით, გრანტი - 98,7%–ით, სოციალური უზრუნველყოფა – 98,7%-ით, სხვა ხარჯები - 87,8%-ით, არაფინანსური აქტივების ზრდა- 84,2%-ით, ვალდებულებების კლება - 100%-ით.

დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის ფაქტი	შესრულების %
ხარჯები	**125 272,3**	**120 116,8**	**95,9**
შრომის ანაზღაურება	35 438,4	35 412,3	99,9
საქონელი და მომსახურება	34 616,8	33 537,7	96,9
პროცენტი	1 267,0	1 266,8	100
სუბსიდიები	12 215,9	12 174,4	99,7
გრანტები	4,0	3,9	98,7
სოციალური უზრუნველყოფა	10 032,6	9 900,2	98,7
სხვა ხარჯები	31 697,7	27 821,3	87,8

არაფინანსური აქტივების ზრდა

დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის ფაქტი	შესრულების %
არაფინანსური აქტივების ზრდა	**58 751,3**	**49 460,5**	**84,2**
ზრდა	58 751,3	49 460,5	84,2

ვალდებულებების კლება

დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის ფაქტი	შესრულების %
ვალდებულებების კლება	**3 174,5**	**3 174,5**	**100**
კლება (საშინაო)	3 174,5	3 174,5	100

შესრულება ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2025 წლის ხარჯვითი ნაწილის გეგმამ შეადგინა 184 023,6 ათ. ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ 169 577,3 ათ. ლარი, გეგმის 92,1%.

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება დაფინანსდა გეგმის - 97,7%, ეკონომიკურ საქმიანობა - 95,8%, გარემო დაცვა - 92,9%, საბინაო-კომუნალურ მეურნეობა - 89,6%, ჯანმრთელობის დაცვა - 99,7%, დასვენება, კულტურა და რელიგია - 81 %, განათლება - 95,3% და სოციალური დაცვა - 98,4%.

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის ფაქტი	შესრულების %
7.1	**საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება**	**14 905,1**	**14 557,1**	**97,7**
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	13 077,5	12 731,3	97,4
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	12 924,6	12 731,3	98,5
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	152,9	0,0	-
7.1.3	საერთო დანიშნულების მომსახურება	229,0	227,7	99,4

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის ფაქტი	შესრულების %
7.1.3.2	საერთო დანიშნულების დაგეგმვა და სტატისტიკური მომსახურება	80,0	80,0	100
7.1.3.3	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	149,0	147,7	99,1
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	1 267,0	1 266,8	100
7.1.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	331,6	331,2	99,9
7.4	**ეკონომიკური საქმიანობა**	**45 173,4**	**43 261,1**	**95,8**
7.4.5	ტრანსპორტი	45 173,4	43 261,1	95,8
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	45 173,4	43 261,1	95,8
7.5	**გარემოს დაცვა**	**18 142,5**	**16 853,2**	**92,9**
7.5.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	8 122,3	8 029,0	98,9
7.5.2	ჩამდინარე წყლების მართვა	1 913,4	1 384,6	72,4
7.5.3	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	1 033,3	1 027,8	99,5
7.5.4	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	6 286,7	5 629,8	89,6
7.5.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	786,7	782,1	99,4
7.6	**საბინაო-კომუნალური მეურნეობა**	**38 610,9**	**34 602,6**	**89,6**
7.6.1	ბინათმშენებლობა	13 123,7	13 034,2	99,3
7.6.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	7 556,5	7 126,5	94,3
7.6.4	გარე განათება	2 152,8	2 150,9	99,9
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	15 777,8	12 291,0	77,9
7.7	**ჯანმრთელობის დაცვა**	**4 594,9**	**4 581,5**	**99,7**
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	4 594,9	4 581,5	99,7
7.8	**დასვენება, კულტურა და რელიგია**	**29 692,7**	**24 045,1**	**81,0**
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	9 462,7	9 099,0	96,2
7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	3 794,4	3 787,9	99,8
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	10,0	10,0	99,7

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის ფაქტი	შესრულების %
7.8.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	16 425,6	11 148,2	67,9
7.9	**განათლება**	**22 907,6**	**21 835,1**	**95,3**
7.9.1	სკოლამდელი აღზრდა	20 193,6	20 156,4	99,8
7.9.2	ზოგადი განათლება	1 902,1	867,8	45,6
7.9.2.3	საშუალო ზოგადი განათლება	1 902,1	867,8	45,6
7.9.3	პროფესიული განათლება	107,4	107,4	100
7.9.4	უმაღლესი განათლება	704,4	703,5	99,9
7.9.4.2	უმაღლესი აკადემიური განათლება	704,4	703,5	99,9
7.10	**სოციალური დაცვა**	**9 996,7**	**9 841,5**	**98,4**
7.10.1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	706,7	706,3	99,9
7.10.1.1	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	98,0	98,0	100
7.10.1.2	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	608,7	608,3	99,9
7.10.2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	3 139,8	3 028,1	96,4
7.10.3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	26,0	26,0	100
7.10.4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	1 184,6	1 184,4	100
7.10.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	4 939,7	4 896,8	99,1
ჯამი		**184 023,6**	**169 577,3**	**92,1**

2026 წლის ბიუჯეტში შემოსავლების სახით მობილიზებულია 106 249,7 ათ. ლარი, რაც 9 თვის საპროგნოზო მაჩვენებლის (92 928,7 ათ. ლარი) 114,3 პროცენტია.

საგადასახადო შემოსავლები

გადასახადების სახით მობილიზებულია 65 004,6 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (62 437,1 ათ. ლარი) 104,1 პროცენტია, მათ შორის:

- საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის სახით მობილიზებულია 16 186,9 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (13 890,0 ათ. ლარი) 116,5 პროცენტს შეადგენს.
- უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის სახით შემოსულია 15,8 ათ. ლარი, რაზეც საპროგნოზო მაჩვენებელი არ ყოფილა განსაზღვრული.
- ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის სახით მობილიზებულია 28,8 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (20,0 ათ. ლარი) 144,2 პროცენტს შეადგენს.
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი შემცირდა -1,9 ათ. ლარით, რაზეც საპროგნოზო მაჩვენებელი არ ყოფილა განსაზღვრული.
- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის სახით მობილიზებულია 141,1 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (142,0 ათ. ლარი) 99,4 პროცენტია.
- დამატებითი ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 48 633,8 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (48 385,1 ათ. ლარი) 100,5 პროცენტია.

გრანტები

- დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ტრანსფერის სახით მობილიზებულია 369,7 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (278,6 ათ. ლარი) 132,7 პროცენტია.
- დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით (პერსონალური ასისტენტის სერვისის მომსახურება) ტრანსფერის სახით მობილიზებულია 274,5 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (207,9 ათ. ლარი) 132,0 პროცენტია.
- დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით (საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება) ტრანსფერის სახით მობილიზებულია 420,6 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (420,0 ათ. ლარი) 100,1 პროცენტია.
- საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მობილიზებულია 16 791,7 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (16 502,2 ათ. ლარი) 101,8 პროცენტია (საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის N102, 2026 წლის 6 თებერვლის N283, 2026 წლის 18 თებერვლის N374 და 2026 წლის 15 მაისის N994 განკარგულებები).

სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 13 387,6 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (13 082,9 ათ. ლარი) 102,3 პროცენტია (იხ. ცხრილი).

დასახელება	გეგმა	ფაქტი	%
სხვა შემოსავლები	**13 082,9**	**13 387,6**	**102,3**
შემოსავლები საკუთრებიდან	**538,4**	**560,4**	**104,1**
პროცენტები	**238,4**	**243,4**	**102,1**
რენტა	**300,0**	**317,1**	**105,7**
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	120,0	132,5	110,4
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	180,0	184,5	102,5
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**3 705,0**	**3 840,4**	**103,7**
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	**3 705,0**	**3 725,3**	**100,5**
სანებართვო მოსაკრებელი	930,0	948,8	102,0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	675,0	670,6	99,3
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	2 100,0	2 105,9	100,3
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	**0,0**	**115,2**	**-**
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	0,0	115,2	-
ჯარიმები, სანქციები და საურავები	**6 575,0**	**6 607,8**	**100,5**
ტრანსფერი რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	**2 264,5**	**2 378,9**	**105,1**

არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 4 524,2 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (16 221,3 ათ. ლარი) 27,9 პროცენტია, მათ შორის:

- ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მობილიზებულია 437,5 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (6 156,7 ათ. ლარი) 7,1 პროცენტია.
- არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან მობილიზებულია 4 086,7 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (10 064,6 ათ. ლარი) 40,6 პროცენტია.

ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2026 წლის 9 თვის ხარჯვითი ნაწილის გეგმამ შეადგინა 121 288,0 ათ. ლარი, მთლიანმა საკასო ხარჯმა - 116 730,6 ათ. ლარი, გეგმის 96,2%. კონკრეტული მუხლების მიხედვით: შრომის ანაზღაურება დაფინანსდა გეგმის - 99,1%–ით, საქონელი და მომსახურება - 91,3%-ით, სასესხო ვალდებულებების პროცენტი - 99,9%-ით, სუბსიდიები - 97,4%–ით, გრანტები - 66,6%-ით, სოციალური უზრუნველყოფა – 98,0%-ით, სხვა ხარჯები - 96,2%-ით, არაფინანსური აქტივები - 96,4%-ით, ვალდებულებები - 99,9%.

დასახელება	2026 წლის პერიოდის გეგმა	2026 წლის პერიოდის ფაქტი	შესრულების %
ხარჯები	**100 293,7**	**96 431,0**	**96,1**
შრომის ანაზღაურება	31 285,0	30 990,6	99,1
საქონელი და მომსახურება	26 468,3	24 177,3	91,3
პროცენტი	553,0	552,2	99,9
სუბსიდიები	15 932,8	15 522,2	97,4
გრანტები	6,0	4,0	66,6
სოციალური უზრუნველყოფა	7 535,8	7 381,8	98,0
სხვა ხარჯები	18 512,8	17 802,8	96,2

არაფინანსური აქტივების ზრდა

დასახელება	2026 წლის პერიოდის გეგმა	2026 წლის პერიოდის ფაქტი	შესრულების %
არაფინანსური აქტივების ზრდა	**19 406,2**	**18 712,5**	**96,4**
ზრდა	19 406,2	18 712,5	96,4

ვალდებულებების კლება

დასახელება	2026 წლის პერიოდის გეგმა	2026 წლის პერიოდის ფაქტი	შესრულების %
ვალდებულებების კლება	**1 588,1**	**1 587,2**	**99,9**
კლება (საშინაო)	1 588,1	1 587,2	99,9

თავი III

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების პრიორიტეტები, პროგრამები, მათი აღწერა და მოსალოდნელი შედეგები

1. ინფრასტრუქტურის განვითარება

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, რადგან აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება საგზაო, სანიაღვრე, გარე განათებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების პროგრამები, ქალაქში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებები, მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარების ხელშეწყობა, ასევე სამომავლო სარეაბილიტაციო ობიექტების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისა და ექსპერტიზის ხარჯები. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	83 087,9	79 062,0	79 495,0	87 962,0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	28 089,1	24 740,8	22 645,8	26 212,8
02 01 01	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	23 603,7	20 800,0	17 900,0	21 800,0
02 01 02	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	2 172,5	2 000,0	2 000,0	2 000,0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	2 312,9	1 940,8	2 745,8	2 412,8
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1 359,5	1 359,5	1 359,5	1 359,5
02 02 01	სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა	1 359,5	1 359,5	1 359,5	1 359,5
02 03	გარე განათება	2 400,1	2 400,1	2 400,1	2 400,1
02 03 01	გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა	2 400,1	2 400,1	2 400,1	2 400,1
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	17 805,6	16 630,9	18 158,9	23 058,9
02 04 01	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია	10 974,7	9 800,0	11 328,0	16 228,0
02 04 02	შენობების სახურავების რეაბილიტაცია	1 000,0	1 000,0	1 000,0	1 000,0
02 04 04	მრავალსართულიან საცხოვრებელ შენობებში ლიფტების მოვლა-პატრონობა/რეაბილიტაცია	5 830,9	5 830,9	5 830,9	5 830,9
02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	4 841,9	4 841,9	4 841,9	4 841,9
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	6 229,1	5 229,1	5 229,1	5 229,1
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა	6 029,1	5 029,1	5 029,1	5 029,1

პროგრამ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
02 06 02	სადღესასწაულო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფა	200,0	200,0	200,0	200,0
02 07	მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება	19 950,0	19 950,0	19 950,0	19 950,0
02 09	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა	102,9	1 600,0	2 600,0	2 600,0
02 10	რუსთავის კორპუსის ადმინისტრირების პროგრამა	2 147,1	2 147,1	2 147,1	2 147,1
02 11	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	162,6	162,6	162,6	162,6

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება
02 01 01		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილებისათვის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა საჭიროებების გათვალისწინებით გზების ადაპტირება, კომფორტული და თანაბარხელმისაწვდომი გარემოს შექმნის მიზნით. 1) ქალაქ რუსთავში მელიქიშვილის და ლომოურის გასასვლელებში გზებისა და სანიაღვრე სისტემების მოწყობა; 2) ქალაქ რუსთავში გრიგოლ ხანძთელის ქუჩის გაგრძელებისა და აღმაშენებლის გამზირთან დამაკავშირებელი გზის მოწყობა; 3) ქალაქ რუსთავში მოდებაძის ქუჩის და სპორტის აკადემიის გზის შემაერთებელი მონაკვეთის რეაბილიტაცია; 4) ქალაქ რუსთავში ნიშნიანიძის ქუჩისა და დოლიძის ქუჩების რეაბილიტაცია; 5) ქალაქ რუსთავში გიორგი ლეონიძის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები (II ეტაპი); 6) ქალაქ რუსთავში სასაფლაოს ტერიტორიაზე გზების რეაბილიტაცია; 7) ქალაქ რუსთავში მელიქიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია; 8) და სხვა..
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		მოწესრიგებული და ადაპტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა, მოწყობილი საფეხმავლო ქვაფენილიანი ბილიკები და გაზონები.

დაფინანსების წყარო	2027 წელი	2028 წელი	2029 წელი	2030 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	705 187,00	800 000,00	900 000,00	1 800 000,00
სახელმწიფო ბიუჯეტი	22 103 699,00	20 000 000,00	17 000 000,00	20 000 000,00

შუალედური (OUTPUT) შედეგის შეფასების ინდიკატორი

N	ინდიკატორის დასახელება	ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
1	ქალაქში რეაბილიტირებული ქუჩები	11	9		

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება			
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება			
02 01 02					
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში ქალაქის მასშტაბით, საჭიროებიდან გამომდინარე განხორციელდება გზების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია. 1) ქალაქ რუსთავში, გზებისა და ტროტუარების ნაწილობრივი შეკეთების სამუშაოები; 2) და სხვა...			
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში არსებული გზების მოვლა-პატრონობა და გახანგრძლივებულია გზების ექსპლუატაციის ვადა.			
დაფინანსების წყარო	**2027 წელი**	**2028 წელი**	**2029 წელი**	**2030 წელი**	
მუნიციპალური ბიუჯეტი	15 000,00	0,00	0,00	0,00	
სახელმწიფო ბიუჯეტი	1 672 072,00	2 000 000,00	2 000 000,00	2 000 000,00	
შუალედური (OUTPUT) შედეგის შეფასების ინდიკატორი					
N	ინდიკატორის დასახელება	ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
1	დაზიანებული და შეკეთებული გზების ფართობი	20 000 მ²	საჭიროებიდან გამომდინარე		

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება			
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება			
02 01 03 01					
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია შუქნიშნების შეძენა-დამონტაჟება, საგზაო მოძრაობისა და ქვეითთა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. 1) შუქნიშნების შეძენა-მონტაჟი. 2) და სხვა..			
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		შეძენილი, დამონტაჟებული და ექსპლოატაციაში შესული კამერები, რაც ხელს შეუწყობს ქალაქში უსაფრთხო გარემოს კიდევ უფრო გაუმჯობესებას.			
დაფინანსების წყარო	**2027 წელი**	**2028 წელი**	**2029 წელი**	**2030 წელი**	
მუნიციპალური ბიუჯეტი	43 604,00	0,00	0,00	0,00	

სახელმწიფო ბიუჯეტი		828 468,00	500 000,00	1 304 883,00	972 000,00
შუალედური (OUTPUT) შედეგის შეფასების ინდიკატორი					
N	ინდიკატორის დასახელება	ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
1	შუქნიშნების რაოდენობა	0	8		

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება			
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება (მოვლა-პატრონობა)			
02 01 03 02					
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ ,,რუსთავსერვის ცენტრი"			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავში მოქალაქეების და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების უზრუნველსაყოფად უსაფრთხო გარემოს შექმნა- გაუმჯობესება. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქში მოძრაობის მოწესრიგებისა და მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის, არსებული გადასასვლელების და საგზაო ნიშნების მოვლა-პატრონობა, შეკეთება და ახალი ნიშნების დამატება. ასევე სიჩქარის მაკონტროლებელი კამერების მომსახურების შეძენა.			
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		მოწესრიგებული და უსაფრთხო გზები			
დაფინანსების წყარო	**2027 წელი**	**2028 წელი**	**2029 წელი**	**2030 წელი**	
მუნიციპალური ბიუჯეტი	1 440 800,0	1 440 800,0	1 440 800,0	1 440 800,0	
სახელმწიფო ბიუჯეტი	0,0	0,0	0,0	0,0	
შუალედური (OUTPUT) შედეგის შეფასების ინდიკატორი					
N	ინდიკატორის დასახელება	ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
1	არსებული საგზაო ნიშნების შეკეთება/ჩანაცვლება -	29	საჭირეობიდან გამომდინარე		
2	ახალი საგზაო ნიშნების დამონტაჟება -	106	საჭირეობიდან გამომდინარე		
3	საფეხმავლო გადასასვლელის დახაზვა	14004 კვ.მ	საჭირეობიდან გამომდინარე		

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		წყლის სისტემების განვითარება
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია

02 02 01 01		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავში წყალკანალიზაციის სისტემების მოწყობა/რეაბილიტაცია, რაც ხელს შეუწყობს საცხოვრებელი კორპუსების ექსპლუატაციის ვადების ზრდას და მოსახლეობისათვის უსაფრთხო საცხოვრებელი პირობების შენარჩუნებას. 1) ქალაქ რუსთავში, წყალკანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია; 2) და სხვა...
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		მოწესრიგებული ინფრასტრუქტურის შედეგად, უზრუნველყოფილია მთელი ქალაქის მასშტაბით საცხოვრებელი კორპუსების წყალკანალიზაციის სისტემების გამართული ფუნქციონირება, ადგილობრივი მოსახლეობისათვის შექმნილია უსაფრთხო და კომფორტული საცხოვრებელი პირობები.

დაფინანსების წყარო	**2027 წელი**	**2028 წელი**	**2029 წელი**	**2030 წელი**
მუნიციპალური ბიუჯეტი	0,00	0,00	0,00	0,00
სახელმწიფო ბიუჯეტი	500 000,00	500 000,00	500 000,00	500 000,00

შუალედური (OUTPUT) შედეგის შეფასების ინდიკატორი

N	ინდიკატორის დასახელება	ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
1	რეაბილიტირებული (ლოკაციურად) წყალკანალიზაციის სისტემები	40	საჭიროებიდან გამომდინარე		

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		წყლის სისტემების განვითარება
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	სანიაღვრე სისტემების მოვლა-პატრონობა
02 02 01 02		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ ,,რუსთავსერვის ცენტრი"
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია ქალაქში არსებული სანიაღვრე სისტემების მოვლა-პატრონობა. ქვეპროგრამა მოიცავს ქალაქში არსებული სანიაღვრე სისტემის გამართული მუშაობისთვის გაწმენდით ღონისძიებებს, ქვეპროგრამის ფარგლებში პერიოდულად ხორციელდება ინსპექტირება და დროული რეაგირება ინსპექტირების შედეგად დადგენილ დაზიანებებზე. ხდება სანიაღვრე ჭების დაზიანებული სახურავების შეკეთება/შეცვლა.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		გამართული და მოწესრიგებული სანიაღვრე სისტემა

დაფინანსების წყარო	**2027 წელი**	**2028 წელი**	**2029 წელი**	**2030 წელი**
მუნიციპალური ბიუჯეტი	859 500,0	859 500,0	859 500,0	859 500,0
სახელმწიფო ბიუჯეტი	0,0	0,0	0,0	0,0

შუალედური (OUTPUT) შედეგის შეფასების ინდიკატორი

N	ინდიკატორის დასახელება	ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	შესაძლო რისკები

1	მოწყობილი და გაწმენდილი სანიაღვრე სისტემები	მოწყობილი და გაწმენდილი სანიაღვრე სისტემები 6607 გრძივი მეტრი	საჭიროებიდან გამომდინარე		
2	გასუფთავებული და ამოწმენდილი სანიაღვრე ჭა	858 ერთეული	საჭიროებიდან გამომდინარე		

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		გარე განათება			
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა			
02 03 01					
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ ,,რუსთავსერვის ცენტრი"			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწესრიგებული გარე განათების მოწყობა/განახლება და მოვლა-პატრონობა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი მუშაობა			
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		გამართული და მოწესრიგებული გარე განათების ქსელი და განათებული ქალაქი			
დაფინანსების წყარო		**2027 წელი**	**2028 წელი**	**2029 წელი**	**2030 წელი**
მუნიციპალური ბიუჯეტი		2 400 100,0	2 400 100,0	2 400 100,0	2 400 100,0
სახელმწიფო ბიუჯეტი		0,0	0,0	0,0	0,0
შუალედური (OUTPUT) შედეგის შეფასების ინდიკატორი					
N	ინდიკატორის დასახელება	ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
1	წლის განმავლობაში ჩანაცვლებული ახალი სანათების რაოდენობა(დიოდური)	900	საჭიროებიდან გამომდინარე		
2	ახალი ბოძების რაოდენობა	50	საჭიროებიდან გამომდინარე		

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია
02 04 01		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია შეიქმნას კომფორტული, უსაფრთხო და მიმზიდველი გარემო ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის და ქალაქის ვიზიტორებისათვის, ასევე წახალისებული ადგილობრივი მოსახლეობა ეკონომიკური საქმიანობის კუთხით. 1) ქალაქ რუსთავში მესხიშვილის ქუჩაზე არსებული შენობების რეაბილიტაცია; 2) ქალაქ რუსთავში თბილისის ქუჩაზე არსებული შენობების რეაბილიტაცია; 3) ქალაქ რუსთავში შენობების სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია; 4) ქალაქ რუსთავში მარჯანიშვილის N11 და კლდიაშვილის N21-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია: 5) ქალაქ რუსთავის მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის ინფრასტრუქტურის ნაწილობრივი რეაბილიტაცია; 6) ქსელზე მიერთების ხარჯები 7) და სხვა..
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი	პროგრამის ფარგლებში რეაბილიტირებული შენობები, კომფორტული, უსაფრთხო და მიმზიდველი გარემო ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის და ქალაქის ვიზიტორებისათვის.

დაფინანსების წყარო	**2027 წელი**	**2028 წელი**	**2029 წელი**	**2030 წელი**
მუნიციპალური ბიუჯეტი	159 205,00	400 000,00	400 000,00	300 000,00
სახელმწიფო ბიუჯეტი	10 815 475,00	9 400 000,00	10 928 000,00	15 928 000,00

შუალედური (OUTPUT) შედეგის შეფასების ინდიკატორი

N	ინდიკატორის დასახელება	ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
1	ქალაქში რეაბილიტირებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რაოდენობა	25	10		

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	შენობების სახურავების რეაბილიტაცია
02 04 02 02		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		პროგრამის ფარგლებში მოხდება არსებული შენობების დაზიანებული და ამორტიზებული სახურავების გადახურვა. აღნიშნული ქვეპროგრამის განხორციელების შემდეგ გაიზრდება შენობების ექსპლუატაციის ვადა. 1) ქალაქ რუსთავში შენობების სახურავების რეაბილიტაცია; 2) და სხვა...
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		რეაბილიტირებული და უსაფრთხო შენობების სახურავები.

დაფინანსების წყარო	**2027 წელი**	**2028 წელი**	**2029 წელი**	**2030 წელი**
მუნიციპალური ბიუჯეტი	0,00	0,00	0,00	0,00
სახელმწიფო ბიუჯეტი	1 000 000,00	1 000 000,00	1 000 000,00	1 000 000,00

შუალედური (OUTPUT) შედეგის შეფასების ინდიკატორი					
N	ინდიკატორის დასახელება	ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
1	ქალაქში რეაბილიტირებული სახურავების რაოდენობა	20	საჭიროებიდან გამომდინარე		

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	მრავალსართულიან საცხოვრებელ შენობებში ლიფტების მოვლა-პატრონობა/რეაბილიტაცია
02 04 04 01		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ "რუსთავის კორპუსი"
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია საცხოვრებელი კორპუსებში უსაფრთხო და კომფორტული ლიფტებით მომსახურება. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება საცხოვრებელ კორპუსებში ლიფტების ოპერირების უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		უსაფრთხო და მოვლილი ლიფტები

დაფინანსების წყარო	**2027 წელი**	**2028 წელი**	**2029 წელი**	**2030 წელი**
მუნიციპალური ბიუჯეტი	1 830 900,0	1 830 900,0	1 830 900,0	1 830 900,0
სახელმწიფო ბიუჯეტი	0,0	0,0	0,0	0,0

შუალედური (OUTPUT) შედეგის შეფასების ინდიკატორი					
N	ინდიკატორის დასახელება	ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
1	ოპერირებადი/მომსახურეობაში მყოფი ლიფტების საერთო რაოდენობა	1 133	1 133		

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	მრავალსართულიან საცხოვრებელ შენობებში ლიფტების რეაბილიტაცია
02 04 04 02		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ რუსთავში არსებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების რეაბილიტაცია, რეაბილიტირებული ლიფტები უზრუნველყოფენ უსაფრთხო გარემოს შექმნას, კომფორტსა და საიმედოობას; 1) ქალაქ რუსთავში, მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში ლიფტების რეაბილიტაცია; 2) და სხვა..			
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		უზრუნველყოფილია ლიფტების გრძელვადიან და უსაფრთხო ექსპლუატაცია.			
დაფინანსების წყარო	**2027 წელი**	**2028 წელი**	**2029 წელი**	**2030 წელი**	
მუნიციპალური ბიუჯეტი	0,00	0,00	0,00	0,00	
სახელმწიფო ბიუჯეტი	4 000 000,00	4 000 000,00	4 000 000,00	4 000 000,00	
შუალედური (OUTPUT) შედეგის შეფასების ინდიკატორი					
N	ინდიკატორის დასახელება	ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
1	რეაბილიტირებული ლიფტების რაოდენობა	165	110		

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა		ინფრასტრუქტურის განვითარება
პროგ. კოდი	**პროგრამის დასახელება**	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება
02 05		
პროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ "რუსთავის კორპუსი"
პროგრამის აღწერა და მიზანი		პროგრამის მიზანია ქალაქის მაშტაბით საბინაო ინფრასტქრუქტურის მოწყობა/მოწესრიგება, მოსახლეობისთვის სუფთა,კეთილმოწყობილი და კომფორტული საცხოვრებელი გარემოს შექმნა. პროგრამის ფარგლებში ხდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საკუთრებაში არსებული ქონების რეაბილიტაციის ხელშეწყობა, სადაც მოსახლეობის თანადაფინანსება ხორციელდება შემდეგნაირად: შიდა საკანალიზაციო ქსელის წმენდა/შემოწმება 0% ; სადარბაზოს კარების დამზადება და მონტაჟი (მაღალსართულიანი, დაბალსართულიანი)-10%, ხოლო სოციალურად დაუცველთათვის მინიმალური ქულიდან 63 000 ქულის ჩათვლით 0%; სადარბაზოს შიდა რემონტი - 10%, ხოლო სოციალურად დაუცველთათვის მინიმალური ქულიდან 63 000 ქულის ჩათვლით 0%; სადარბაზოებში სართულის უჯრედზე სენსორული განათების მოწყობა- 10%, ხოლო სოციალურად დაუცველთათვის მინიმალური ქულიდან 63 000 ქულის ჩათვლით 0%; კორპუსებში რკინა/ბეტონის კონსტრუქციის შეკეთება - 10%, ხოლო სოციალურად დაუცველთათვის მინიმალური ქულიდან 63 000 ქულის ჩათვლით 0%; აღგილობრივი ინიციატივების ხელშეწყობა-თანადაფინსება 0%, ლიფტების სამანქანოს მოწყობა-თანადაფინსება 0%, კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია - 5%, ხოლო სოციალურად დაუცველთათვის მინიმალური ქულიდან 63 000 ქულის ჩათვლით 0%; სარინერის მოწყობა - 10%, ხოლო სოციალურად დაუცველთათვის მინიმალური ქულიდან 63 000 ქულის ჩათვლით 0%; წყლის შემოდინების პრევენცია/აღმოფხვრა - 10%, ხოლო სოციალურად დაუცველთათვის მინიმალური ქულიდან 63 000 ქულის ჩათვლით 0%.

მოსალოდნელი საბოლოო (OUTCOME) შედეგი		საცხოვრებელ შენობებში გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა			
დაფინანსების წყარო		**2027 წელი**	**2028 წელი**	**2029 წელი**	**2030 წელი**
მუნიციპალური ბიუჯეტი		4 841 900,0	4 841 900,0	4 841 900,0	4 841 900,0
სახელმწიფო ბიუჯეტი		0,0	0,0	0,0	0,0
საბოლოო (OUTCOME) შედეგის შეფასების ინდიკატორი					
N	ინდიკატორის დასახელება	ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
1	შიდა საკანალიზაციო ქსელის წმენდა/შემოწმება	42	42		
2	სადარბაზოს კარების დამზადება და მონტაჟი	95	95		
3	სადრბაზოს შიდა რემონტი	131	131		
4	კორპუსების რკინა-ბეტონის კონსტრუქციის შეკეთება	25	25		
5	სენსორული განათების მოწყობა	50	50		
6	ადგილობრივი ინიციატივების ხელშეწყობა	280	280		
7	ლიფტების სამანქანოების მოწყობა	15	15		
8	კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია	15	15		
9	სარინერის მოწყობა	24	24		
10	წყლის შემოდინების პრევენცია/აღმოფხვრა	9	9		

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		კეთილმოწყობის ღონისძიებები
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია
02 06 01 01		

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საბავშვო, სპორტულ და საერთო სარგებლობის საზოგადოებრივ სივრცეების შექმნა და დაზიანებული სეგმენტების აღდგენა/რეაბილიტაცია, აღნიშნული პროექტები ემსახურება კომფორტული და ჯანსაღი გარემოს ფორმირებას მომავალი თაობისათვის და მათ საშუალებას მისცემს დაკავდნენ სპორტის სხვადასხვა სახეობით. ასევე აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მოეწყობა საბავშვო მოედნები, რომელიც ხელს შეუწყობს მცირეწლოვან თაობას და მათ მშობლებს დრო გაატარონ კომფორტულ და უსაფრთხო გარემოში. 1) ქალაქ რუსთავში საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები; 2) ქალაქ რუსთავის შემოსასვლელში სკვერის მოწყობა და თამარ მეფის მოედნის მიმდებარედ მიწისქვეშა გადასასვლელის რეაბილიტაცია; 3) და სხვა...
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი	შექმნილი, აღდგენილი და რეაბილიტირებული სპორტული, საბავშვო და საერთო სარგებლობის საზოგადოებრივი სივრცეები.

დაფინანსების წყარო	**2027 წელი**	**2028 წელი**	**2029 წელი**	**2030 წელი**
მუნიციპალური ბიუჯეტი	0,00	0,00	0,00	0,00
სახელმწიფო ბიუჯეტი	4 000 000,00	3 000 000,00	3 000 000,00	3 000 000,00

შუალედური (OUTPUT) შედეგის შეფასების ინდიკატორი

N	ინდიკატორის დასახელება	ინდიკაორის საბაზისო მაჩვენებელი	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
1	ქალაქის მასშტაბით რეაბილიტირებული სპორტული, საბავშვო და საერთო სარგებლობის საზოგადოებრივი სივრცეების ლოკაციების რაოდენობა	15	საჭიროებიდან გამომდინარე		

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		კეთილმოწყობის ღონისძიებები
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	საზოგადოებრივი სივრცეების მოვლა-პატრონობა
02 06 01 02		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ ,,რუსთავსერვის ცენტრი"

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი			ქვეპროგრამის მიზანია მოქალაქეებისათვის მიმზიდველი ქალაქში არსებული საზოგადოებრივი სივრცეების მოვლა-პარონობა. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სკვერებისა და გაზონების დასუფთავება, ტარდება მრავალწლიანი ნარგავების და ბუჩქების მოვლა-პატრონობა, მრავალწლიანი ნარგავების გასხვლა, ბუჩქების დეკორატიული ფორმირება, ნიადაგის მომზადება, გაფხვიერება, მორწყვა, ბალახის გათიბვა და სხვა საჭირო ოპერაციები, ასევე სარწყავი სისტემების მოვლა-პატრონობა. ყოველწლიურად მიმდინარეობს ღონისძიებები რუსთავის ტყე-პარკის აღდგენა-რეაბილიტაციისთვის როგორც მწვანე სივრცის, დასვენების და სპორტული აქტივობების თავშეყრის აქტიურ ადგილად ფორმირებისათვის.		
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი			მოსახლეობისთვის სასურველი საზოგადოებრივი სივრცეები		
დაფინანსების წყარო		**2027 წელი**	**2028 წელი**	**2029 წელი**	**2030 წელი**
მუნიციპალური ბიუჯეტი		2 029 100,0	2 029 100,0	2 029 100,0	2 029 100,0
სახელმწიფო ბიუჯეტი		0,0	0,0	0,0	0,0
შუალედური (OUTPUT) შედეგის შეფასების ინდიკატორი					
N	ინდიკატორის დასახელება	ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
1	სკვერები და საზოგადოებრივი სივრცეები	16	16		

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა			კეთილმოწყობის ღონისძიებები		
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**		სადღესასწაულო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფა		
02 06 02					
ქვეპროგრამის განმახორციელებელი			ა(ა)იპ ,,რუსთავსერვის ცენტრი"		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი			ქვეპროგრამა ითვალისწინებს სადღესასწაულო დღეებში ღონისძიებების ტექნიკურ უზრუნველყოფას.		
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი			მოსახლეობისთვის შექმნილი სადღესასწაულო გარემო		
დაფინანსების წყარო		**2027 წელი**	**2028 წელი**	**2029 წელი**	**2030 წელი**
მუნიციპალური ბიუჯეტი		200 000,0	200 000,0	200 000,0	200 000,0
სახელმწიფო ბიუჯეტი		0,0	0,0	0,0	0,0
შუალედური (OUTPUT) შედეგის შეფასების ინდიკატორი					
N	ინდიკატორის დასახელება	ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
1	დღესასწაულებთან დაკავშირებით გაფორმებული ქუჩები	გაფორმებული ქუჩები 6	გაფორმებული ქუჩები 6		

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის სუბსიდირება
02 07 01		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		შპს "რუსთავის მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო"
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობის შიდა და საქალაქთაშორისო ტრანსპორტით უზრუნველყოფა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება, ხელმისაწვდომობა, უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შპს "რუსთავის მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო"-ს დაფინანსება. რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალურ ტრანსპორტს, საიდანაც ხორციელდება საწარმოს ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. ქალაქში მუშაობს საქალაქო შიდა 9 მარშუტი. რუსთავ-თბილისზე მუშაობს 6 მარშუტი, რომელიც სრულად უზრუნველყოფს რუსთავ-თბილისს შორის მგზავრთა გადაყვანას. აღნიშნულ მარშუტებს ჯამში ემსახურება 130 ავტობუსი და მაქსიმალურად უზრუნველყოფილია მოსახლეობის ინტერესები.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		განახლებული, მოდერნიზებული და მოსახლეობის ინტერესებზე მორგებული ადგილობრივი სატრანსპორტო სისტემა.

დაფინანსების წყარო	**2027 წელი**	**2028 წელი**	**2029 წელი**	**2030 წელი**
მუნიციპალური ბიუჯეტი	19 950 000,0	19 950 000,0	19 950 000,0	19 950 000,0
სახელმწიფო ბიუჯეტი	0,0	0,0	0,0	0,0

შუალედური (OUTPUT) შედეგის შეფასების ინდიკატორი

N	ინდიკატორის დასახელება	ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
1	შიდა საქალაქო მარშუტზე ავტობუსების რაოდენობა	40 ერთეული	40 ერთეული		
2	საქალაქთაშორისო (რუსთავი-თბილისი) -ის მარშრუტზე ავტობუსების რაოდენობა	90 ერთეული	90 ერთეული		

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა
02 09 01		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი			ქვეპროგრამის მიზანია სრულყოს პროექტების განხორციელების პროცესი და მინიმუმამდე იყოს დაყვანილი რეაბილიტაციის სამუშაოების მიმდინარეობისას შესაძლო უზუსტობები. შესრულებული სამუშოების ინსპექტირება ხელს შეუწყობს სამუშაო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვას, საბოლოო ეტაპზე ხარისხიანი სამუშაოს მიღებას და გაწეული ხარჯების ოპტიმიზაციას. ქვეპროგრამა ითვალისწინებს განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევას (ინსპექტირების ანგარიშის (ექსპერტიზა) დამზადების მომსახურება). 1) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა (ინსპექტირების ანგარიშის (ექსპერტიზა) დამზადების მომსახურება).		
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი			უზრუნველყოფილია შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების ხარისხის და მოცულობის შესაბამისობის კონტროლი.		
დაფინანსების წყარო		**2027 წელი**	**2028 წელი**	**2029 წელი**	**2030 წელი**
მუნიციპალური ბიუჯეტი		102 907,00	0,00	0,00	0,00
სახელმწიფო ბიუჯეტი		0,00	1 600 000,00	2 600 000,00	2 600 000,00
შუალედური (OUTPUT) შედეგის შეფასების ინდიკატორი					
N	ინდიკატორის დასახელება	ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
1	დაქირავებული კომპანიის მიერ მომზადებული ინსპექტირების ანგარიშები რაოდენობა	140	საჭიროებიდან გამომდინარე		

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა			ინფრასტრუქტურის განვითარება		
პროგ. კოდი	**პროგრამის დასახელება**		რუსთავის კორპუსის ადმინისტრირების პროგრამა		
02 10					
პროგრამის განმახორციელებელი			ა(ა)იპ "რუსთავის კორპუსი"		
პროგრამის აღწერა და მიზანი			პროგრამის მიზანია ა(ა)იპ ,,რუსთავის კორპუსი"-ს უფლებამოსილების ფარგლებში მოქალაქეების პრობლემების ანალიზი, დაგეგმვა და გადაწყვეტა მოქმედი პროგრამების ფარგლებში. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების და საცხოვრებელ შენობებში ლიფტების ოპერირების პროგრამების მართვა და ადმინისტრირება.		
მოსალოდნელი საბოლოო (OUTCOME) შედეგი			ეფექტური ორგანიზაციული მმართველობის განხორციელების გზით მოქალაქეებისთვის გადაწყვეტილი საბინაო პრობლემები		
დაფინანსების წყარო		**2027 წელი**	**2028 წელი**	**2029 წელი**	**2030 წელი**
მუნიციპალური ბიუჯეტი		2 147 100,0	2 147 100,0	2 147 100,0	2 147 100,0

სახელმწიფო ბიუჯეტი		0,0	0,0	0,0	0,0
საბოლოო (OUTCOME) შედეგის შეფასების ინდიკატორი					
N	ინდიკატორის დასახელება	ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
1	განხილული განცხადებები	1 323	1 323		
2	დაკმაყოფილებული განცხადებები	920	920		
3	გადამზადებული თანამშრომლები	34	34		

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		ინფრასტრუქტურის განვითარება			
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა			
02 11					
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		შპს"გემა''			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოს მოვლა-პატრონობა, ცალკეული საფლავების მოვლა და მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება.			
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		დასუფთავებული და მოწესრიგებული სასაფლაო			
დაფინანსების წყარო	**2027 წელი**	**2028 წელი**	**2029 წელი**	**2030 წელი**	
მუნიციპალური ბიუჯეტი	162 600,0	162 600,0	162 600,0	162 600,0	
სახელმწიფო ბიუჯეტი	0,0	0,0	0,0	0,0	
შუალედური (OUTPUT) შედეგის შეფასების ინდიკატორი					
N	ინდიკატორის დასახელება	ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
1	სასაფლაოს ფართობი	78(ჰა)	78(ჰა)		

2. განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით, დაწყებით და ზოგად განათლებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციის გაზრდა, განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ბავშვთა კვების რაციონს, ასევე ეტაპობრივად მიმდინარეობს ბაღების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარით უზრუნველყოფა.

პროგრამ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
04 00	განათლება	26 134,7	26 134,7	26 134,7	26 134,7
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	22 859,8	22 859,8	22 859,8	22 859,8
04 03	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელშეწყობა	1 196,9	1 196,9	1 196,9	1 196,9
04 04	საშუალო სკოლებში ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია	928,0	928,0	928,0	928,0
04 08	ახალგაზრდების განათლების ხელშეწყობის პროგრამა	900,0	900,0	900,0	900,0
04 09	ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	250,0	250,0	250,0	250,0

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა		განათლება
პროგ. კოდი	**პროგრამის დასახელება**	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება
04 01		
პროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ ,,ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება"
პროგრამის აღწერა და მიზანი		პროგრამის მიზანია ბავშვებისთვის ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო, (საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილება), სანიტარულ ჰიგიენური (საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის # 485 დადგენილება) და კვების ტექნიკური რეგლამენტის ნორმებით (საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის # 487 დადგენილება) გათვალისწინებული საუკეთესო გარემოს შექმნა.
		ქალაქ რუსთავში ფუნქციონირებს 23 სააღმზრდელო დაწესებულება (ბაგა-ბაღი) გეგმიური 6330 აღსაზრდელით, რაც აკმაყოფილებს ქალაქში არებულ ბაგა-ბაღებში ჩასარიცხ მსურველთა რაოდენობას , სულ ჩარიცხულია 5404 აღსაზრდელი, ბაგა-ბაღებში აღსაზრდელთა ჩარიცხვა ხორციელდება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისისთვის, ელექტრონული წესით, დაშვებულია გამონაკლისის სახით განცხადების საფუძველზე ჩარიცხვა (მრავალშვილიანი, შშმ-პირები, დედმამიშვილები და სხვა).

	ადრეული ასაკის ბავშვთა აღზრდა განვითარების სტანდარტის დანერგვა ასოცირდება ხარისხიან სკოლამდელ განვითარებასთან, რომელიც ითვალისწინებს აღმზრდელ-პედაგოგთა მაღალ პროფესიულ კომპეტენციებს და ეტაპობრივ გადამზადებას, ახალ სტანდარტებზე დაყრდნობით შესაბამისი კურიკულუმების შემუშავებას, ყველა ტიპის ბავშვთა ჩართულობას, უსაფრთხო სოციალურ და ემოციურ გარემოს, ბავშვთა აქტიურ მონაწილეობას საგანმანათლებლო პროცესში, რომლის განხორციელება ხდება მთავრობის მიერ შემუშავებული სამართლებრივი დოკუმენტების მიხედვით. ამ ამოცანის გადაწყვეტა მიმდინარეობს მიზანმიმართულად, ეტაპობრივად, უწვეტად.
	- ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზება ხორციელდება ხარისხიანი და სრულფასოვანი პროდუქტებით . დაცულია აღსაზრდელთა კვების რაციონის ენერგეტიკული ნორმები -1292.84 კკალ.
მოსალოდნელი საბოლოო (OUTCOME) შედეგი	ბაგა-ბაღების აღსაზრდელთათვის სრულფასოვანი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო სერვისით უზრუნველყოფა.

დაფინანსების წყარო	**2027 წელი**	**2028 წელი**	**2029 წელი**	**2030 წელი**
მუნიციპალური ბიუჯეტი	22 859 800,0	22 859 800,0	22 859 800,0	22 859 800,0
სახელმწიფო ბიუჯეტი	0,0	0,0	0,0	0,0

საბოლოო (OUTCOME) შედეგის შეფასების ინდიკატორი

N	ინდიკატორის დასახელება	ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
1	აღსაზრდელთა რაოდენობა	6330	6330		
2	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აღსაზრდელთა რაოდენობა	190	350		
3	აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადების მიზნით ტრენინგების რაოდენობა	50	15		

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა		განათლება
პროგ. კოდი	**პროგრამის დასახელება**	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელშეწყობა
04 03		
პროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ ,,სარეაბილიტაციო-განმავითარებელი ცენტრი კესანე"
პროგრამის აღწერა და მიზანი		პროგრამის მიზანია განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების სოციალური ინტეგრაცია, განვითარება და რეაბილიტაცია. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისთვის ადრეულ ასაკში სხვადასხვა სახის საჭირო მომსახურების შეთავაზება, მათი რეაბილიტაცია და შემდგომში საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა; შრომითი თერაპიების საშუალებით ბენეფიციართა დახმარება დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებაში.
მოსალოდნელი საბოლოო (OUTCOME) შედეგი		უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რეაბილიტაცია და ხელშეწყობილია მათი ინტეგრაცია საზოგადოებაში

დაფინანსების წყარო		2027 წელი	2028 წელი	2029 წელი	2030 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი		1 196 900,0	1 196 900,0	1 196 900,0	1 196 900,0
სახელმწიფო ბიუჯეტი		0,0	0,0	0,0	0,0
საბოლოო (OUTCOME) შედეგის შეფასების ინდიკატორი					
N	ინდიკატორის დასახელება	ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
1	ბენეფიციართა მომართვიანობა ადგილზე	დაკმაყოფილებული 100 %	დაკმაყოფილებული 100 %		
2	სასწავლო პროცესში ჩართული ბენეფიციარები	90%	90%		

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა		განათლება
პროგ. კოდი	**პროგრამის დასახელება**	საშუალო სკოლებში ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია
04 04		
პროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური
პროგრამის აღწერა და მიზანი		საჭიროების მქონე სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირების უზრუნველყოფა სასწავლო დაწესებულებებში.
მოსალოდნელი საბოლოო (OUTCOME) შედეგი		სკოლის მოსწავლეებს ექნებათ შესაძლებლობა შეუფერხებლად გადაადგილდნენ სასწავლო დაწესებულებამდე.

დაფინანსების წყარო	**2027 წელი**	**2028 წელი**	**2029 წელი**	**2030 წელი**
მუნიციპალური ბიუჯეტი	0,00	0,00	0,00	0,00
სახელმწიფო ბიუჯეტი	928 000,00	928 000,00	928 000,00	928 000,00

საბოლოო (OUTCOME) შედეგის შეფასების ინდიკატორი					
N	ინდიკატორის დასახელება	ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
1	აღნიშნული მომსახურეობით მოსარგებლე ბავშვების რაოდენობა	2704	2704		

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა		განათლება
პროგ. კოდი	**პროგრამის დასახელება**	ახალგაზრდების განათლების ხელშეწყობის პროგრამა
04 08		
პროგრამის განმახორციელებელი		ა(აიპ) ,,ახალგაზრდობის განათლებისა და კარიერული განვითარების ცენტრი"
პროგრამის აღწერა და მიზანი		1.პროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავში მცხოვრები და მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე სტუდენტების წახალისება, ხოლო მგზავრობის დაფინანსების შემთხვევაში სხვადასხვა სტატუსის მქონე სტუდენტების ხელშეწყობა, მატერიალური დახმარება და სწავლისადმი მოტივაციის გაზრდა. ქვეპროგრამის განხორციელებით უზრუნველყოფილი იქნება ქალაქ რუსთავში მცხოვრები და მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე იმ სტუდენტების (ბაკალავრი/მაგისტრი/დოქტორანტი/რეზიდენტი) მიმდინარე სასწავლო წლის სწავლის საფასურის სრული ან ნაწილობრივი დაფარვა, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებული არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ), თუ სტუდენტი - ბაკალავრი ადმინისტრაციულ ორგანოს წარუდგენს დოკუმენტს (სკოლის ატესტატს ან ცნობას შესაბამისი სასწავლო დაწესებულებიდან), რომლითაც დადასტურდება, რომ დამამთავრებელი ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდა ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, მიეცემა პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა. ქვეპროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა შესაძლოა მიეცეს ბაკალავრის საფეხურის სტუდენტს, რომლის მშობელსაც აქვს 2 წლიანი უწყვეტი რეგისტრაცია (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციული საზღვრებს გარეთ), ხოლო ქვეპროგრამით სარგებლობის მსურველ პირს უფიქსირდება აქტიური რეგისტრაციის სტატუსი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში. ქვეპროგრამა ითვალისწინებს, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის მქონე და მცხოვრები სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასულ 18-დან 24 წლის ჩათვლით პირებს (რომელიც სახელმწიფო ზრუნვაში იმყოფებოდა არანაკლებ 2 წელი) დაფინანსება არაუმეტეს 1200 ლარის ოდენობით (ერთი კალენდარული წლის განმავლობაში). აღნიშნული კატეგორიის სტუდენტები დაფინანსებიან პირველი კურსის პირველი სემესტრიდან. ქვეპროგრამა ითვალისწინებს, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე და მცხოვრები რეზიდენტურის საფეხურის მქონდე სტუდენტების (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). სწავლის გადასახადი, წელიწადში არაუმეტეს სტუდენტებისთვის განსაზღვრული დაფინანსების თანხის ოდენობისა. 1. ბაკალავრების დაფინანსების ოდენობა განისაზღვრება სტუდენტის აკადემიური მოსწრების შესაბამისად, კერძოდ: 1.1 81-დან 90 ქულამდე შეფასების მქონდე სტუდენტები ფინანსდებიან არაუმეტეს 800 ლარის ოდენობით; 1.2 90-დან 95 ქულამდე შეფასების მქონდე სტუდენტები ფინანსდებიან არაუმეტეს 1000 ლარით; 1.3 95-დან 100 ქულის ჩათვლით მქონე სტუდენტები ფინანსდებიან 1200 ლარით; 2. მაგისტრანტების დაფინანსება ხორციელდება მაგისტრის აკადემიური მოსწრების შესაბამისად 85-დან 100 ქულამდე შეფასების მქონე მაგისტრანტი ფინანსდება არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით (ერთი სასწავლო წლის განმავლობაში); 3. დოქტორანტების დაფინანსება ხორციელდება დოქტორანტების აკადემიური მოსწრების შესაბამისად 85-დან 100 ქულამდე შეფასების მქონე დოქტორანტი დაფინანსდეს არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით

	(ერთი სასწავლო წლის განმავლობაში). 4. რეზიდენტურის საფეხურის სტუდენტები დაფინანსდებია კურსის პირველი სემესტრიდან არაუმეტეს 1500 ლარის ოდენობით. 5. მგზავრობის დაფინანსებით მოსარგებლე პირებს წარმოადგენენ: 5.1 სტუდენტები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 150 000-ს, არაუმეტეს სტუდენტებისთვის განსაზღვრული დაფინანსებული თანხის ოდენობისა; 5.2 სტუდენტები, რომლებიც არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები; 5.3 სტუდენტები, რომლებსაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მოპოვებული აქვთ სახელმწიფო გრანტის სრული ოდენობა და მათი აკადემიური შეფასების საშუალო ქულა 81 და მეტია (100 ქულიანი შეფასების სისტემიდან); 5.4 სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ პრიორიტეტულ უმაღლეს საგანამანათლებლო პროგრამებზე და მათი აკადემიური შეფასების საშუალო ქულა 81 და მეტია (100 ქულიანი შეფასების სისტემიდან); 5.5 სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული 18-დან 24 წლის ჩათვლით პირები (რომლებიც სახელმწიფო ზრუნვაში იმყოფებოდნენ არანაკლებ 2 წელი). გამონაკლისი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონდე პირზე, რომელსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდება - ქალაქ რუსთავი. დახმარება/წახალისება მოიცავს თვეში ერთხელ 60 ლარის ოდენობას.
მოსალოდნელი საბოლოო (OUTCOME) შედეგი	სოციალურად მხარდაჭერილი, მოტივირებული სტუდენტები. მეტი განათლებული და წარმატებული ახალგაზრდა ქალაქს

დაფინანსების წყარო	**2027 წელი**	**2028 წელი**	**2029 წელი**	**2030 წელი**
მუნიციპალური ბიუჯეტი	900 000,0	900 000,0	900 000,0	900 000,0
სახელმწიფო ბიუჯეტი	0,0	0,0	0,0	0,0

საბოლოო (OUTCOME) შედეგის შეფასების ინდიკატორი

N	ინდიკატორის დასახელება	ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
1	დაფინანსებული/წახალისებული სტუდენტები	1018	1200		

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა		განვითარება
პროგ. კოდი	**პროგრამის დასახელება**	ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

04 09	
პროგრამის განმახორციელებელი	ა(აიპ) ,,ახალგაზრდობის განათლებისა და კარიერული განვითარების ცენტრი"
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანს წარმოადგენს ქალაქ რუსთავში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეებისა და მუდმივი ცხოვრების ნებართვის მქონე პირების განათლების მიღების ხელშეწყობა და მოტივაციის გაძლიერება, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისა და პოპულარიზაციის მხარდაჭერა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ოქროსა და ვერცხლის მედლით დაჯილდოებული კურსდამთავრებულების წახალისება, აგრეთვე ახალგაზრდების მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ჩართვის, მათი სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და მოქალაქეობრივი ცნობიერების ამაღლებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა „მერის ახალგაზრდა წარმომადგენლის“ პროგრამის ფარგლებში. 1. პროგრამით მოსარგებლეებს წარმოადგენენ: 1.1 ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული ან მუდმივად მცხოვრები პირები, რომლებიც რეგისტრაციის მომართვამდე უწყვეტად არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში იმყოფებოდნენ ქალაქში; 1.2 ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების კურსდამთავრებული მოსწავლეები; 1.3 ის მოსწავლეები, რომლებიც ქალაქ თბილისში იღებდნენ სპეციალურ საგანმანათლებლო პროგრამებს და აკმაყოფილებენ რეგისტრაციის სხვა პირობებს; 1.4 ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები და მუდმივი ცხოვრების ნებართვის მქონე სრულწლოვანი პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ „მერის ახალგაზრდა წარმომადგენლის“ პროგრამაში მონაწილეობის პირობებს, გაივლიან შესაბამის შერჩევის ეტაპებს და წარმატებით დაასრულებენ პროგრამით გათვალისწინებულ სამთვიან სასწავლო და პრაქტიკულ კურსს. 2. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია შემდეგი ფინანსური წახალისება: 2.1 აკრედიტებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისა და მსმენელებისათვის ყოველთვიურად 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსური წახალისება პროფესიული პროგრამის დასრულებამდე; 2.2 ოქროს მედლით დაჯილდოებული მოსწავლეებისთვის 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით ფინანსური წახალისება, იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საშუალო საფეხურის საერთო შეფასება შეადგენს 10 ქულას (დამრგვალების გარეშე) და იღებს სრული ზოგადი განათლების ოქროს მედალოსნის ატესტატს; 2.3 ვერცხლის მედლით დაჯილდოებული მოსწავლეებისთვის 300 (სამასი) ლარის ოდენობით ფინანსური წახალისება, იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საშუალო საფეხურის საერთო შეფასება მერყეობს 9.8-დან 10 ქულამდე; 2.4 „მერის ახალგაზრდა წარმომადგენლის“ პროგრამის ფარგლებში შერჩეული პირებისთვის ყოველთვიურად დარიცხული თანხა 625(ექვსასოცდახუთი) ლარის ოდენობით ფინანსური წახალისება, პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების პერიოდში, დადგენილი პირობებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში. 2.5 „მერის ახალგაზრდა წარმომადგენლის“ პროგრამის ფარგლებში შერჩეულ პირებს ფინანსური წახალისება მიეცემათ პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების პერიოდში, იმ პირობით, რომ ისინი აკმაყოფილებენ პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მათ შორის, დასწრების არანაკლებ 80%-იან მაჩვენებელს და მონაწილეობენ გათვალისწინებულ აქტივობებში. 3. განსაზღვრულია შემდეგი გამონაკლისები: 3.1 საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის წყვეტა არ ითვლება დისკვალიფიკაციის საფუძვლად იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული წყვეტა არ გულისხმობს რეგისტრაციის განხორციელებას ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებს გარეთ; 3.2 იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომელთა რეგისტრირებულ მისამართად, შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე, ქალაქი რუსთავი ფიქსირდება. 3.3 „მერის ახალგაზრდა წარმომადგენლის“ პროგრამაში მონაწილეობისას, პროგრამით განსაზღვრული ასაკის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, პირის მიერ პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული შერჩევის ეტაპებისა და სასწავლო და პრაქტიკული კურსის წარმატებით გავლენა განისაზღვრება პროგრამაში მონაწილეობისა და ახალგაზრდა წარმომადგენლის სტატუსის მინიჭების პირობების შესაბამისად. 4. განსაზღვრულია შემდეგი განსაკუთრებული პირობები: 4.1 იმ შემთხვევაში, თუ კურსდამთავრებული ვერ ისარგებლებს პროგრამით სკოლის დამამთავრებელი წლის განმავლობაში, მას ეძლევა შესაძლებლობა

	ისარგებლოს წახალისებით მომდევნო ერთი კალენდარული წლის განმავლობაში; 4.2 იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე იმ მოსწავლეებს, რომელთა რეგისტრირებულ მისამართად ფიქსირდება ქალაქი რუსთავი, პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა შეუნარჩუნდებათ საცხოვრებელი ადგილის ფორმალური რეგისტრაციის თავისებურებების მიუხედავად;
მოსალოდნელი საბოლოო (OUTCOME) შედეგი	მოტივირებული და განათლებული ახალგაზრდები და გაზრდილი პროფესიულად გადამზადებული კადრები ქალაქში

დაფინანსების წყარო	**2027 წელი**	**2028 წელი**	**2029 წელი**	**2030 წელი**
მუნიციპალური ბიუჯეტი	250 000,0	250 000,0	250 000,0	250 000,0
სახელმწიფო ბიუჯეტი	0,0	0,0	0,0	0,0

საბოლოო (OUTCOME) შედეგის შეფასების ინდიკატორი

N	ინდიკატორის დასახელება	ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
1	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა საერთო რაოდენობა	290	750		
2	მერის ახალგაზრდა წარმომადგენელი	30	30		

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ქალაქის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

პროგრამ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	14 257,7	14 257,3	14 257,3	14 257,3
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	4 976,1	4 975,7	4 975,7	4 975,7
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	551,5	551,1	551,1	551,1
06 01 02	მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება	1 600,0	1 600,0	1 600,0	1 600,0
06 01 03	მოქალაქეთა მედიკამენტებითა და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით დახმარება	400,0	400,0	400,0	400,0
06 01 04	აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება	1 724,6	1 724,6	1 724,6	1 724,6
06 01 05	გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლით დაავადებული და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება	700,0	700,0	700,0	700,0
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	9 281,6	9 281,6	9 281,6	9 281,6
06 02 01	მინიმალური სასურსათო კვების დაფინანსება	2 720,6	2 720,6	2 720,6	2 720,6
06 02 02	სარიტუალო მომსახურებები	22,9	22,9	22,9	22,9
06 02 03	შეღავათი სასმელი წყლის გადასახადზე	57,0	57,0	57,0	57,0
06 02 04	შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე	3 127,4	3 127,4	3 127,4	3 127,4
06 02 05	ინდივიდუალური დახმარებების პროგრამები	65,5	65,5	65,5	65,5
06 02 06	უხუცეს მოქალაქეთა დახმარება	7,0	7,0	7,0	7,0
06 02 07	რუსთავის მოხუცებულთა სახლის ხელშეწყობა	818,3	818,3	818,3	818,3
06 02 08	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	880,0	880,0	880,0	880,0
06 02 09	საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ოჯახების მატერიალური დახმარება	29,0	29,0	29,0	29,0
06 02 10	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება	86,4	86,4	86,4	86,4
06 02 12	სოციალური დახმარებების პროგრამა	150,0	150,0	150,0	150,0
06 02 13	სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა	46,0	46,0	46,0	46,0
06 02 14	დიალიზით დაავადებულთა დახმარების პროგრამა	96,5	96,5	96,5	96,5
06 02 15	ბავშვიანი ოჯახების ხელშეწყობის	150,0	150,0	150,0	150,0

პროგრამ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
	პროგრამა				
06 02 16	ძალადობის მსხვერპლი ბავშვიანი პირების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა	5,0	5,0	5,0	5,0
06 02 17	შინ მოვლის თანადაფინანსება	45,0	45,0	45,0	45,0
06 02 18	შშმ ბავშვთა საკურორტო მომსახურება	386,0	386,0	386,0	386,0
06 02 19	ჩვილ ბავშვთა დახმარების პროგრამა	100,0	100,0	100,0	100,0
06 02 20	პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა	489,0	489,0	489,0	489,0

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		ჯანმრთელობის დაცვა			
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა			
06 01 01					
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი"			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების შედეგად მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა. სამსახური ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს: 1. ეპიდზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვის ღონისძიება. 2. მოსახლეობის ანტირაბიული დახმარების ხელშეწყობის ღონისძიება. 3. ცხოვრების ჯანსაღი წესის და დაავადებათა პრევენციის ღონისძიებების ხელშეწყობა. 4. მალარიის ელიმინაციის ღონისძიება. 5. სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიება. 6. ქალაქ რუსთავის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის „საშიში“ და შხამიანი ცხოველების (ძირითადად ქვეწარმავლების და მორიელების) ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიება.			
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		განსაკუთრებით საშიში, მართვადი და სხვა ინფექციური დაავადებების ჯგუფური შემთხვევებისგან მოსახლეობის დაცვის უზრუნველყოფა;			
დაფინანსების წყარო	**2027 წელი**	**2028 წელი**	**2029 წელი**	**2030 წელი**	
მუნიციპალური ბიუჯეტი	164 300,00	164 300,00	164 300,00	164 300,00	
სახელმწიფო ბიუჯეტი	387 200,00	387 200,00	387 200,00	387 200,00	
შუალედური (OUTPUT) შედეგის შეფასების ინდიკატორი					
N	**ინდიკატორის დასახელება**	**ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი**	**ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი**	**ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)**	**შესაძლო რისკები**

1	ქალაქში სტაბილური და მართვადი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება	სასწრაფო შეტყობინება ინფექციურ დაავადებებზე - 135	სასწრაფო შეტყობინება ინფექციურ დაავადებებზე -100		ინფექციური დაავადებების ახალი კერების წარმოქმნა; ეპიზოოტიური მდგომარეობის ცვლილება, სეზონური და სხვა ეპიდემიოლოგიური ფაქტორები,
2	ანტირაბიული დახმარების ხელმისაწვდომობისა და დროული რეაგირების უზრუნველყოფა	ანტირაბიული კაბინეტზე მონიტორინგი-12, სასწრაფო შეტყობინება ცოფის რისკზე-3305	ანტირაბიული კაბინეტზე მონიტორინგი-12, სასწრაფო შეტყობინება ცოფის რისკზე -3000		უპატრონო ცხოველების რაოდენობის ზრდა; ეპიზოოტიური მდგომარეობის ცვლილება,ცხოველებთან მოსახლეობის კონტაქტის შემთხვევების ზრდა, უარი ვაქცინაციაზე.
3	მოსახლეობის ინფორმირება, ცხოვრების ჯანსაღი წესისა და დაავადებათა პრევენციის საკითხებზე	9 შეხვედრა სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებთან, სკრინინგ აქცია - 7 გამოკვლეული 476 პირი. სოციალური ქსელით ინფორმირება - 25	12 შეხვედრა სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფთან, სკრინინგ აქცია -10 გამოკვლეული -600 პირი სოციალური ქსელით ინფორმირება 25		მოსახლეობის დაბალი ჩართულობა; საინფორმაციო ღონისძიებებზე ინტერესის შემცირება
4	მალარიის ადგილობრივი შემთხვევების პრევენცია და ელიმინაციის შედეგების შენარჩუნება	დეზინსექცია 80,000 კვ.მ სასწრაფო შეტყობინება მალარიაზე-0	დეზინსექცია 80,000 კვ.მ სასწრაფო შეტყობინება მალარიაზე-0		დაავადების გადამტანის რაოდენობის ზრდა, მალარიის ადგილობრივი შემთხვევის დაფიქსირება.
5	საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა	22 სკოლა, 19 ბაღი, 145 საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულება.	26 სკოლა, 23 ბაღი, 195 საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულება.		ობიექტებში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევები; რეკომენდაციების შეუსრულებლობა
6	ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველებისგან მოსახლეობის დაცვის ღონისძიებები	104 შეტყობინება ცხელი ხაზიდან	80 შეტყობინება ცხელი ხაზიდან		შხამიანი ცხოველების პოპულაციის/აქტივობის ზრდა; სეზონური და კლიმატური პირობები; მოქალაქეთა მხრიდან დაგვიანებული შეტყობინება

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		ჯანმრთელობის დაცვა
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება
06 01 02		

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამით მოსარგებლე პირებს წარმოადგენენ ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის მქონე მოქალაქეები, რომლებიც ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე უწყვეტად არანაკლებ 2 წლის განმავლობაში (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და ესაჭიროებათ ავთვისებიანი სიმსივნეების (დაავადებების კოდი C00-C97 D00-D09) დიაგნოსტიკა და ამბულატორიულ-სტაციონარული მკურნალობა, კარდიოქირურგიული, გადაუდებელი კარდიოქირურგიული/გადაუდებელი ანგიოქირურგიული (I70.2; I71; I74) და გეგმიური ქირურგიული სამედიცინო მომსახურება (დაფინანსება განისაზღვრება ბოლო ერთი წლის განმავლობაში საშუალო შემოსავლის მიხედვით დადგენილი ლიმიტების მიხედვით). კომპიუტერული გამოკვლევები (CT და MRT კვლევები)რომელიც შეიძლება დაუფინანსდეს მხოლოდ 0-70 001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს წელიწადში არაუმეტეს 600.00 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია ასევე: ავასტინის ინტრავიტრეალური ინექცია- ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში არაუმეტეს 900.00 ლარის ოდენობით; ელექტროენცეფალოგრაფია (ეეგ კვლევა) - G40 დიაგნოზის მქონე 18 წლამდე ასაკის ბენეფიციარები ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში დაფინანსდებიან არაუმეტეს 300 ლარის ოდენობით, ხოლო იმავე კატეგორიის ბენეფიციარები, რომლებიც ირიცხებიან სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ერთიან მონაცემთა ბაზაში 0-დან 150 000 ქულის ჩათვლით - არაუმეტეს 600,00 (ექვსასი) ლარის ოდენობით. M16 კოკსართროზი (მენჯ-ბარძაყის სახსრის ართროზი) და M17 გონართროზი (მუხლის სახსრის ართროზი) დიაგნოზის შემთხვევაში, დაფინანსება განისაზღვროს წელიწადში არაუმეტეს 2 000.00 (ორი ათასი) ლარის ოდენობით. ზოგადი სიმსუქნე (E66) დიაგნოზის შემთხვევაში დაფინანსება განისაზღვროს წელიწადში არაუმეტეს 1 500.00 (ერთი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით. გადაუდებელი კარდიოქირურგიული ოპერაციის და გადაუდებელი ანგიოქირურგიული ოპერაციის (I70.2; I71; I74) შემთხვევაში დაინტერესებულმა პირმა უნდა მომართოს მერიას განცხადებით პაციენტის გამოწერამდე ან გამოწერიდან 5 დღის ვადაში. საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით, გამონაკლისი ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომლებიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ელექტრონულ მონაცემთა ბაზის ბოლო თვის მიხედვით ირიცხებიან ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში დევნილის სტატუსით.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომია სამედიცინო მომსახურება (სრული და ასევე ნაწილობრივი თანადაფინანსება)

დაფინანსების წყარო	**2027 წელი**	**2028 წელი**	**2029 წელი**	**2030 წელი**
მუნიციპალური ბიუჯეტი	1 600 000,0	1 600 000,0	1 600 000,0	1 600 000,0
სახელმწიფო ბიუჯეტი	0,0	0,0	0,0	0,0

შუალედური (OUTPUT) შედეგის შეფასების ინდიკატორი

N	ინდიკატორის დასახელება	ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
1	ბენეფიციართა რაოდენობა	1 800	1 900		დაბალი / მაღალი მომართვიანობა

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		ჯანმრთელობის დაცვა
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	მოქალაქეთა მედიკამენტებითა და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით დახმარება
06 01 03		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია მოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ზრუნვა და ხელშეწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში ხდება რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები და რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის მქონე სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა არ უნდა აღემატებოდეს 70 000 -ს) მოქალაქეების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების, ომის მონაწილეების, მარტოხელა მშობლის შვილების (18 წლის ასაკის მიღწევამდე პირები სარეიტინგო ქულით 70 001-დან 150 000-ჩათვლით) მედიკამენტების შესაძენად საჭირო თანხით დაფინანსება. ასევე შაქრიანი დიაბეტით დაავადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვთა და მოზარდთა გლუკომეტრის შესაბამისი საანალიზო ტესტ-ჩხირებით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ფარგლებში, მოსარგებლე ჯგუფს წარმოადგენს ქალაქ რუსთავში მცხოვრები მოქალაქეები, რომლებიც მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულნი/მუდმივი ბინადრობის მქონე და რეგისტრირებული არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად, წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ და მიეკუთვნებიან ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ კატეგორიას: ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მოქალაქეები, რომელთა სარეიტინგო ქულა 70 000-ს არ აღემატება, დაფინანსდება წლიური ლიმიტით ერთ მოსარგებლეზე 200 ლარის ოდენობით; ბ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები დაფინანსდება წლიური ლიმიტით ერთ მოსარგებლეზე 200 ლარის ოდენობით; გ) 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, წლიური ლიმიტით ერთ მოსარგებლეზე 200 ლარის ოდენობით; დ) მარტოხელა მშობლის შვილები, წლიური ლიმიტით ერთ მოსარგებლეზე 200 ლარის ოდენობით; ე) ომის მონაწილე (ვეტერანები)-სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ მოწოდებული ვეტერანთა აღრიცხვის ელექტრონულ მონაცემთა ბაზების მიხედვით ირიცხება ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში ვეტერანის სტატუსით. წლიური ლიმიტით ერთ მოსარგებლეზე 250 ლარის ოდენობით; ვ) დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირები, რომლებსაც არ აქვთ შშმპ სტატუსი, წლიური ლიმიტით ერთ მოსარგებლეზე 200 ლარის ოდენობით; ზ) შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის, გათვალისწინებულია ერთი მოსარგებლისათვის წელიწადში არაუმეტეს 4 (ოთხი) კოლოფის ოდენობით გლუკომეტრის ტესტ-ჩხირებით უზრუნველყოფა. გამონაკლისი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომლებიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ელექტრონულ მონაცემთა ბაზის ბოლო თვის მიხედვით ირიცხებიან ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში დევნილის სტატუსით. თუ პროგრამით სარგებლობის მსურველი 18 წლამდე ასაკის მქონე პირის ერთ-ერთ მშობელს აქვს 2 წლიანი უწყვეტი რეგისტრაცია (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციული საზღვრების გარეთ), ხოლო პროგრამით სარგებლობის მსურველ პირს უფიქსირდება აქტიური რეგისტრაციის სტატუსი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, სამსახური უფლებამოსილია დაფინანსების მიზნით მიმართოს მერის წარმომადგენელს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მოქალაქის ცხოვრების ფაქტის დადგენასთან დაკავშირებით.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლები უზრუნველყოფილნი არიან მედიკამენტებით და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით

დაფინანსების წყარო	**2027 წელი**	**2028 წელი**	**2029 წელი**	**2030 წელი**

მუნიციპალური ბიუჯეტი		400 000,0	400 000,0	400 000,0	400 000,0
სახელმწიფო ბიუჯეტი		0,0	0,0	0,0	0,0
შუალედური (OUTPUT) შედეგის შეფასების ინდიკატორი					
N	ინდიკატორის დასახელება	ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
1	ბენეფიციართა რაოდენობა	1 750	1 800		დაბალი / მაღალი მომართვიანობა

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		ჯანმრთელობის დაცვა
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება
06 01 04		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის აუტიზმის მქონე ბავშვების (შემდგომში - ბენეფიციარი) საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით შემეცნებითი, თვითმოვლის, მოტორული, სოციალური განვითარების და კომუნიკაციური უნარების განვითარების ხელშეწყობა. ქვეპროგრამით მოსარგებლეები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობის ჯგუფის (F84.0-F84.9) დიაგნოზის მქონე 2-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები. ქვეპროგრამის მოსარგებლისათვის გათვალისწინებულია შემდეგი მომსახურებების დაფინანსება: ა)ბაზისური მომსახურება (სტანდარტული სეანსების რაოდენობის გათვალისწინებით), რომელიც ითვალისწინებს თვეში არაუმეტეს 20 სეანსის მიწოდებას, თითოეული სეანსის ხანგრძლივობა შეადგენს 1 საათს, ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესაბამისად. თვეში 20 საათის განსაზღვრის შემთხვევაში, გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპიის სეანსების მინიმალურმა რაოდენობამ უნდა შეადგინოს სეანსების საერთო რაოდენობიდან არანაკლებ 12 სეანსი. დარჩენილი 8 სეანსის შემთხვევაში შესაძლებელია მიმწოდებლის მიერ, ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესაბამისად, მოხდეს მოსარგებლისათვის საჭირო სეანსების მიწოდება (მ.შ. გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია, საჭიროებისამებრ, მეტყველების თერაპია, ოკუპაციური/სენსორული თერაპია და სხვა) ბ) მშობლის არჩევით ქვეპროგრამით მოსარგებლისთვის სეანსების მიწოდება ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესაბამისად, როდესაც მშობელს უფლება აქვს თავად აირჩიოს თერაპიების სახე ბავშვის საჭიროებების გათვალისწინებით. როცა შეუძლებელია სეანსების ჩატარება ობიექტური გარიემოებების გათვალისწინებით, მათ შორის ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, შესაძლებელია სრულად ან ნაწილობრივ სეანსების რაოდენობა განაწილდეს შემდეგ თვეებზე. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ფინანსდება ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს თვეში 420.00 ლარისა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი პერიოდულად ამოწმებს მიმწოდებლის მიერ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობას. შემოწმების განხორციელების ფორმა და მექანიზმი განისაზღვრება ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ. ქვეპროგრამაში ჩასართველად სავალდებულოა ქალაქ რუსთავში რეგისტრაცია განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). გამონაკლისი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომლებიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ელექტრონულ მონაცემთა ბაზის ბოლო თვის მიხედვით ირიცხებიან ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში დევნილის სტატუსით, ასევე, თუ პროგრამით მოსარგებლე პირის მშობელს აქვს 2 წლიანი უწყვეტი რეგისტრაცია (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციული საზღვრების გარეთ), ხოლო პროგრამით მოსარგებლე პირს უფიქსირდება აქტიური რეგისტრაციის სტატუსი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში. ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური უფლებამოსილია მიმართოს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს ოჯახის ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში ცხოვრების ფაქტის დადასტურების შესახებ აქტის მომზადების უზრუნველსაყოფად. გამონაკლისი ვრცელდება იმ პირებზეც, რომლებიც იმყოფებიან მინდობით აღზრდაში და უფიქსირდებათ აქტიური რეგისტრაციის სტატუსი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი	მუნიპალიტეტში მცხოვრები ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან სარეაბილიტაციო მომსახურებით

დაფინანსების წყარო	**2027 წელი**	**2028 წელი**	**2029 წელი**	**2030 წელი**
მუნიციპალური ბიუჯეტი	1 724 600,0	1 724 600,0	1.724.600	1 724 600,0
სახელმწიფო ბიუჯეტი	0,0	0,0	0,0	0,0

შუალედური (OUTPUT) შედეგის შეფასების ინდიკატორი					
N	ინდიკატორის დასახელება	ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
1	ბენეფიციართა რაოდენობა	330	376		მომართვიანობის შემცირება/გაზრდა

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		ჯანმრთელობის დაცვა
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლით დაავადებული და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება
06 01 05		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
